დადგენილება № 07/2024 „სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, მარიკა ნადარეიშვილის წარმომადგენლობით საბჭოს წევრის უფლებამოსილების თაობაზე

დადგენილება #07
თარიღი: 05 ივნისი, 2024 წელი

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 54–ე მუხლის პირველი ნაწილის, 56–ე მუხლის მე–2 ნაწილისა და 57–ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 17-ე მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-5 პუნქტების, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის № 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების" მე-10 მუხლის, მე-13 მუხლის 1-ლი, მე-2, მე-3 და მე-12 პუნტების, „სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) არჩევნების 24.03.2024 წლის შემაჯამებელი ოქმისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2024 წლის 05 ივნისის #06 სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციების ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

წარმომადგენლობით საბჭო ადგენს:
1. დადასტურებული (ცნობილი) იქნეს სსიპ – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის კომპოზიციისა და მუსიკოლოგიის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, მარიკა ნადარეიშვილის წარმომადგენლობით საბჭოს წევრის უფლებამოსილება.

2. დადგენილება განთავსდეს კონსერვატორიის ვებ-გვერდზე tsc.edu.ge;

3. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი,№64);

4. დადგენილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ნათია ქავთარაძე

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი